ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ივლისი 2025 წელი

ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის გელა ოჩიაურის სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს გელა ოჩიაურის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

1 : 5261
გეოგრაფიული (გრძედი,გა

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

06 / აგვისტო / 2024 წ. 06-03242196 1-03

KA011751608772424

№ 172570

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) 2024 წლის 31 ივლისს წარედგინა ხათუნა უნდილაშვილის M24012308 განცხადება მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდი: 01.11.05.011.401) მისამართის დაზუსტების თაობაზე.

მოგახსენებთ, რომ სააგენტოს სამისამართო რეესტრში მიმდინარე მდგომარეობით 01.11.05.011.401 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთის მიმდებარედ რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტები შემდეგი სახელწოდებებით:

- „ქალაქი თბილისი, ვლადიმერ ჯანჯღავას III შესახვევი“.

აღნიშნულ გეოგრაფიულ ობიექტებზე ინფორმაცია, ასევე, დაცულია ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ 2008 წელს გამოცემული ენციკლოპედიაში („თბილისი, ქუჩები, გამზირები მოედნები“).

ასევე მოგახსენებთ, რომ აღნიშნული შესახვევის მიმდებარედ არსებულ რამდენიმე უძრავ ნივთს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საიდენტიფიკაციო მონაცემად უფიქსირდება „ქალაქი თბილისი, ვლადიმერ ჯანჯღავას III ჩიხი“.

სამისამართო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების სრულყოფის და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოსაკვლევად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული ობიექტი „ქალაქი თბილისი, ვლადიმერ ჯანჯღავას III შესახვევი“ წარმოადგენს თუ არა გეოგრაფიული ობიექტის მოქმედ სახელწოდებას.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სამისამართო დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ტაბატაძე

წერილის ნომერი:**03-032519662**
თარიღი: **15/07/2025**

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

როგორც მოგეხსენებათ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს # 06-032421961-03 მომართვის საფუძველზე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გზათა ქსელის მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

საკითხის შესწავლის ფარგლებში ზეპირი კომუნიკაცია გაიმართა როგორც სამისამართო დეპარტამენტთან, ასევე ადგილზე მოხდა ტერიტორიის დათვალიერება, გზათა ქსელის შეწავლა და გამოიკითხა ადგილობრივი მოქალაქეების აზრი.

როგორც დგინდება, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩა წარმოდგენილია ქსელის სახით, ქუჩას არ აქვს ერთი ძირითადი დასაწყისი და დასასრული, მონაკვეთები ერთმანეთთან გეგმარებითი კავშირის გარეშეა სახელდებული როგორც ვლ. ჯანჯღავას ქუჩა. გარდა აღნიშნულისა ქუჩას აქვს შესახვევები და ჩიხები, რომელთა მიმდებარედ ასევე წარმოქმნილია უსახელო გეოგრაფიული ობიექტები. კომისიის მიერ მოქალაქეებთან და სამისამართო დეპარტამენთთან ერთობლივი კომუნიკაციის შედეგად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული ქუჩის მონაკვეთებად დაყოფა და დამოუკიდებელ ქუჩებად სახელდება.

გთხოვთ, უზრუნველყოთ საკითხის შემდგომი დამუშავების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარება თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა
და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-03251989**
თარიღი: **17/07/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს #06-032421961-03 მომართვის საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გზათა ქსელის მოწესრიგებასთან დაკავშირებით.
როგორც დგინდება, ვლადიმერ ჯანჯღავს ქუჩა წარმოდგენილია ქსელის სახით. ქუჩას არ აქვს ერთი ძირითადი დასაწყისი და დასასრული, გარდა აღნიშნულისა, ქუჩას აქვს შესახვევები და ჩიხები, რომელთა მიმდებარედ ასევე წარმოქმნილია უსახელო გეოგრაფიული ობიექტები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სიტუაციური ნახაზები დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 7 (შვიდი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი:**03-032519667**
თარიღი: **15/07/2025**

ადრესატი:

ლია ცოცხალაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში, მოქალაქეთა თხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცეს, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლაში გარდაცვლილი გელა ოჩიაურის სახელის მონიჭებასთან დაკავშირებით.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით გთხოვთ, უზრუნველყოთ გელა ოჩიაურის საბრძოლო მოკვლევისა და დაჯილდოვების დოკუმენტის (ების) გამოთხოვა შესაბამისი უწყებიდან, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-03251979**
თარიღი: **16/07/2025**

ადრესატი: ვეტერანების სახელმწიფო საქმეთა სამსახური
მისამართი: გიორგი გურამიშვილის ქ. #12 ა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში, მოქალაქეთა თხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლაში გარდაცვლილი მებრძოლის გელა ოჩიაურის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მოგმართავთ თხოვნით, გაგვაცნოთ თქვენი პოზიცია ხსენებულ სახელდებასთან დაკავშირებით, ასევე მოგვაწოდოთ ინფორმაცია გელა ოჩიაურის საბრძოლო მოკვლევისა და დაჯილდოვების დოკუმენტების (მათი არსებობის შემთხვევაში) შესახებ.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

5925/3-46/20 2 08072020

02-0320190155-03

5925/3-46/20
08-07-2020

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

ქალბატონო თინათინ,

გაცნობებთ, რომ სამაჟორიტარო ბიუროში განცხადებით №1-9267/20 მომმართა მოქალაქე მამუკა მარიამიძემ (პ/ნ: 01004003783), რომელიც ითხოვს პატარა გლდანის დასახლებაში არსებული ვლადიმერ ჯანჯღავას მესამე შესახვევისათვის სახელის გადარქმევას და მისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლაში გარდაცვლილი მეომრის გელა ოჩიაურის სახელის მინიჭებას.

ვუწევთ შუამდგომლობას მოქალაქეს, რათა შესწავლილ იქნას საკითხი და დაკმაყოფილდეს აღნიშნული განცხადება შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში.

შუამდგომლობას თან ერთვის მოქალაქის მიერ ჩვენთან წარმოდგენილი განცხადება და შესაბამისი დოკუმენტები.

აგრეთვე გთხოვთ, წერილობით აცნობოთ მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს და განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

დანართი 05 ფურცელი

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
კობა კობალაძე

გლდანის №20 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის
პარლამენტის მაჟორიტარ წევრს
ბატონ კობა კობალაძეს

მოქალაქე: [illegible]
მისამართი: [illegible]
ტელეფონი: 599 33 41 53
პირადი:№ 01004003783

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო კობა,

მოგახსენებთ, რომ პატარა გლდანის მკვიდრი გახლდათ გელა ოჩიაური, რომელმაც სიცოცხლე შესწირა საქართველოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლას. მისი სახელი ამოტვიფრულია გლდანში არსებულ გმირთა მემორიალზე.

გ.ოჩიაურის განვლილი ცხოვრების და თავდადების უკვდავსაყოფად გვაქვს თხოვნა და სურვილი, რომ პატარა გლდანის დასახლებაში არსებულ ქუჩას (მხედველობაში გვაქვს ვ.ჯანჯღავას მესამე შესახვევი), სადაც გელამ სიცოცხლის ბედნიერი წლები განვლო შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს გელა ოჩიაურის სახელი.

განცხადებას თან ერთვის შესაბამისი ხელმოწერები.
პატივისცემით, მაცხოვრებელთა სახელით:

[illegible]
8 ივლისი 2020 წ

მაჟორიტარი პარლამენტის
წევრის
კობა კობალაძის ბიურო
შემოსული № 1-9257/20
08 07 2020 წ.
ფურცელი რაოდენობა 5


For development purposes only
For development purposes only
For development purposes only
For development purposes only
For development purposes only
For development purposes only
For development purposes only
For development purposes only
For development purposes only
For development purposes only
For development purposes only
For development purposes only

საქართველოს პარლამენტის წევრს
ავჭალა-გლდანის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ კობა კობალაძეს
ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვუერთდებით თხოვნას, რომ
ქუჩას ეწოდოს გელა ოჩიაურის სახელი

N	სახელი	გვარი	ხელმოწერა
1	[illegible]	[illegible]	[illegible]
2	[illegible]	ოჩიაური	[illegible]
3	[illegible]		[illegible]
4	[illegible]		[illegible]
5	[illegible]		[illegible]
6	[illegible]		[illegible]
7	[illegible]		[illegible]
8	[illegible]		[illegible]
9	[illegible]		[illegible]
10	[illegible]		[illegible]
11	[illegible]		[illegible]
12	[illegible]		[illegible]
13	[illegible]		[illegible]
14	[illegible]		[illegible]
15	[illegible]		[illegible]
16	[illegible]		[illegible]
17	[illegible]		[illegible]
18	[illegible]		[illegible]
19	[illegible]		[illegible]
20	[illegible]		[illegible]
21	[illegible]		[illegible]
22	[illegible]		[illegible]

საქართველოს პარლამენტის წევრს
ავჭალა-გლდანის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ კობა კობალაძეს
ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვუერთდებით თხოვნას, რომ
ქუჩას ეწოდოს გელა ოჩიაურის სახელი

N	სახელი	გვარი	ხელმოწერა
23	[illegible]	[illegible]	[illegible]
24	[illegible]	[illegible]	[illegible]
25	[illegible]	[illegible]	[illegible]
26	[illegible]	[illegible]	[illegible]
27			[illegible]
28	[illegible]	[illegible]	[illegible]
29	[illegible]	[illegible]	[illegible]
30	[illegible]		[illegible]
31	[illegible]	[illegible]	[illegible]
32	[illegible]	[illegible]	[illegible]
33	[illegible]	[illegible]	[illegible]
34	[illegible]	[illegible]	[illegible]
35	[illegible]	[illegible]	[illegible]
36	[illegible]	[illegible]	[illegible]
37	[illegible]	[illegible]	[illegible]
38			
39			
40			
41			
42			
43			
44			